


კალათბურთის რაინდი

10 მანის დაიბადა და „10“ ნომრად თამაშობდა მუდამ...

„გრიაუსა“ — ასე ეძახდნენ ხუმრობით ქუთათური თანატოლები ქორჭიების ბიჭს რიონისპირა ქალაქში, თამაშის ძველ ფაბრიკისთან ჩიხში რომ ცხოვრობდა. „გრიაუსა“ ხავსებით ამართლებდა ამ სახელს: ძალზე ხშირად ავადმყოფობდა, გრიპი სჭირდა გაუთავებლად. მართლაც დიდი ტანაზია უნდა ჰქონოდა კაცს, რათა ცნობილი ქუთაისელი ექიმის მიხედვით ქორჭიასა და მისი მეუღლის სოფო ტკეცუ-შვილის ნაშვირში — ამ სუსტ, აუღარწულ, პიაყელა ბიჭში — დევის ქანის, კეთილ მკვრივ, მუხლმავარი გოლიათი, საჭვეწროდ აღიარებული სპორტსმენი, კალათბურთის უეხარი ოსტატი ამოეცნო. აღბათ, თანაზრად უნდა ჰქონდეს კაცს ღვთისაგან მომადლებული ნიჭი და შრომისმოყვარეობა, რათა ისეთ სიმადლებებს მიაღწიოს, როგორც ოთარ ქორჭიას არგუნა ვანგე-ხაშ.

კალათბურთში — ამ მართლაც საოცარმა, ცეცხლოვანმა, ვაეკატურმა თამაშმა — მიიღო ქუთაისი ვადარია. ყველა ბურთს დასდევდა, ყველა „კალათბურთელობდა“. უბანი უბანს ეჩიბრებოდა, სკოლა — სკოლას, კლასი — კლასს, ყველასათვის კარგად ცნობილ „სეშეინი ხაღის“, მახლობლად მდებარე ერთადერთი დარბაზში, ბურთის ტყორცნაში ეჩიბრებოდნენ ერთმანეთს ბიჭები — შოთა ქორჭაშვილი, ოთარ ხულაბერიძე, ლელო შორაფიძე, იური გოგოლაშვილი, კარლო ხურციძე, დათო სირბილაძე, ოთარ ქორჭია... თავდაპირველად ქორჭაშვილების ვაჟი პირველობდა, მერე კი ქორჭია სჯობდა ყველას — მისი ბურთები მართლაც, რომ კალმახებით ფართხალებდნენ კალათში. უფროსებს — გვი კილაძეს, ძმებს ალექო და



შეტევახვა ოთარ ქორჭია.

შოთა მესხებს, ბიჭების მწვრთნელობა რომ იკისრებს, დიდად მოსწონდათ არჩივის მწერისსადარი, თვალმბრიალა შეგირდი. ერთხმად დაასკვნეს: — „დიდ კალათბურთის თამაშებს, თუ ასე გააგრძელა ვარჯიში“. არც შემცდარან.

...ქუთაისში ხმა დაიბნა, ნევისპირელთა საჭვეწროდ სახელგანთქმული გუნდი ჩამოიღოს ჩვენთან სა-თამაშოდ. სტუმრებმა, რომლებსაც შესანიშნავი ოსტატი ალექსანდრ ელენსკი (მოგვიანებით იგი თბილისის „დინამოში“ გადმოვიდა) თავაკობდა, ანტა-ცხაში მოიყვანეს ქუთაისელი კაბუკები. იმ დაუთქვარ დღეს ოთარმა საბოლოო არჩევანი გააკეთა — კალათბურთის თუმცა ერთი წლის შემდეგ ქუთაისის სპორტსკოლის მოსწავლემ ოთარ ქორჭიამ კინაღამ უღალატა თავის პირველ სპორტულ სიყვარულს — ნიჭიერი კაბუკი შემთხვევით მოღანდეს მძლეოსნებმა და თავიანთ სახეობაში გადაიბირეს. ერთ წელიწადში ახალბედა მძლეოსანი საქართველოს ჩემპიონი გახდა...



მწვრთნელი ო. ქორჭია წუთშესვენებისას დარიგებას აძლევს მოთამაშეებს.

ბაღრის ტყორცნაში კაბუკთა შორის. მომდევნო სეზონში ნიჭიერმა ათლეტმა ამავე სახეობაში კაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდები დაამყარა ჯერ თბილისში, შემდეგ კი — ხარკოვში. მისი სურათი საკავშირო სპორტულ გაზეთში დაიბეჭდა. მოსწონდა ოთარს მძლეოსნობა, მაგრამ გული მაინც საყვარელი ბურთისაკენ გაურბოდა.

1948 წელს საქართველოს ეწვევნენ მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელები, რომელთა შორის იყო აღიარებული ოსტატი ვასილი კოლაკოვი. ქუთაისელებმა ერთი ქულით წააგეს მატჩი. ახალგაზრდა ცენტრის ოთარ ქორჭიას დამპყრელი ამ დღეს არავინ აღმოჩნდა მოედანზე. მომდევნო სეზონში ქუთაისელებმა სძლიეს ჩვენს აღიარებულ ლიდერს — თბილისის არმიელთა გუნდს. ომის დამთავრებისთანავე კაუნასში 8 ქალაქის მატჩი გაიმართა. მასში ქუთაისელებიც მონაწილეობდნენ და საპატიო მესამე ადგილზე გავიდნენ. გუნდის კაპიტანი ოთარ ქორჭია საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს. მომდევნო წელს ქუთაისელთა გუნდი ქორჭიას „თამაშობით“ თითქმის მთლიანად გადმოვიდა თბილისის „დინამოში“. ცისფერმაისურაიანები ზედიზედ ორჯერ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები, ამასთან, დამაჩერებლად სძლიეს თავიანთ ძველ მეტოქეს — თანაკალაქელ არმიელებს.

...1947 წელს პრალა მასპინძლობდა ევროპის ჩემპიონატს. საკავშირო ნაკრების 13 მოთამაშეს შორის ორი ქართველი იყო — ოთარ ქორჭია და ნიდარ ჯორჯია. ორივემ საუცხოოდ ითამაშა, ორივე კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედლით დაბრუნდა თბილისში. „ოთარ ქორჭია — კალათბურთის მრისხანე მეფე“. „სალი კლდე“, „კალათბურთის ევერესტი“ — ეპითეტებს არ იშურებდა ჩემოსლოვაკური პრესა.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ოთარ ქორჭიამ და მისმა შესანიშნავმა თანაგუნდელებმა 1949, 1950, 1951 წლებში ზედიზედ სამჯერ მოიგეს საკავშირო თასი, ამდენჯერვე მოიპოვეს (1950, 1953, 1954 წ. წ.) სსრკ ჩემპიონობა. ეს ის პერიოდი იყო, ვახ-



ასე იწყებოდა: დღევანდელი იუბილარი მაშინ 13 წლისა იყო...

ოთარ ქორჭიას უმაღლესი საკალათბურთო პილოტაჟი ოლიმპიური ჯელსინკის ცაში ამერიკელებთან ფინალური მატჩის დროს 1952 წლის XV თამაშებზე.



სოფი ალბათ, როდესაც თბილისში ჯერ კიდევ არ გვექონდა სპორტის სასახლე და გულშემატკივრებს დინამოელთა თამაშის დროს პირდაპირ იერიში მიჰქონდათ ვერის პარკის კალათბურთის მოედნის შესასვლელებზე.

კალათბურთის კვანძი რაინდი, ნაქრების (გა. მოდიოდა 1947-1955 წ.წ.) აღიარებული ლიდერი და კაპიტანი (გუნდს 1958-1955 წ. წ. თავაყოფიდა) ოქროს მდლებს კავალერი გახდა ევროპის მომდევნო ჩემპიონატებზეც პარიზსა (1951 წ.) და მოსკოვში (1958 წ.), სტუდენტთა მსოფლიო თამაშებზე ბუდაპეშტა (1949 წ.) და ბერლინში (1951 წ.), იმავე ბუდაპეშტის მსოფლიოს ფესტივალზე (1958 წ.) ო. ქორჭია იტალიის დიდი ხანთაშორისო ტურნირის — „მაირანოს თასის“ გამარჯვებულად გახდა 1954 წელს.

1958 წელს ბელსინკის სპორტის სასახლე „მესუ-მალი“ XV ოლიმპიური თამაშების კალათბურთელთა ტურნირს მასპინძლობდა. 10 ათასი მაყურებელი მდევარებით ადევნებდა თვალს ფინალურ პაექრობას. გულშემატკივრები აღტაცებულნი დარჩნენ „ულვაშე-ბანი ჯენტლმენის“ — ოთარ ქორჭიასა და მისი თანაგუნდელის ნოდარ ჯორჯიას ოსტატობით. ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ ამერიკელი გიგანტების — რობერტ კურლანდის (სიმაღლე 2, 18 მ), მარკუს ფრაიბერგერის (2, 10), კლაიდ ლოვიტის (2, 09) წინააღმდეგ. და ეს მაშინ, როდესაც ჩვენი გიგანტები ო. ქორჭია და ნ. ჯორჯია სულ 1, 91 და 1, 88 მეტრი სიმაღლისა იყვნენ. ერთ-ერთ მომენტში ვაფთრებულია კურლანდმა მარჯვენა მარჯა დაუზიანა ჩვენს კაპიტანს, რითაც თავის გუნდს, რომ იტყვიან, ბელ-ფე-

სი გაუხსნა. ქორჭიამ დატოვა მოედანი. ამერიკელები ქულას ქულაზე აგროვებდნენ. მეორე ტაიმში ბელ-ფე-სვეული ოთარი კვლავ დაუბრუნდა მოედანს. თანაგუნდელებს საშუალება მიეცათ საგრძნობლად შეეცირებინათ ქულათა სხვაობა. ჭეტის გაკეთება დაშვებულმა კაპიტანმა ველარ შექლო — დროც აღარ იყო. ასე გახდა ოთარ ქორჭია „მხოლოდ“ ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელი. არადა, როგორც ერთმა უფრანდისებმა აღნიშნა — „ოთარ ქორჭია — შეიღებოდა იყო მსოფლიო კალათბურთში“
იგი 10 მაისს დაიბადა და „10“ ნომრად თამაშობდა მუდამ...



ჩვენს იუბილარს!
80ნი.მძს.ეპიგრაზა
(მარცხ გოძიაშვილის ცნობილი სიმღერის „წალვერი და თბილისის“ მოტივზე)
ოთარი რომ დაიბადა, დარი იყო, არ წვიმდა,
ო, ნეტავი ერთად იყოს... ბაგრატი და მთაწმინდა.
მან ქართველის წინაპარის აღასრულა ადათი,
ო, ნეტავი ერთად იყოს... მთაწმინდა და ბაგრატი.

საქართველოს თბილისის
რესპუბლიკის სპორტის
სპორტკომიტეტი სასახლე

ავტორი-შემდგენელი ოთარ ნოზაძე
რედაქტორი ბაბრიყ ბარჯაძე მხატვარი ვახტანგ კუციანი
ტირაჟი 3 ათასი ფასი სახელმწიფოებრივ მუცეთა 588
საქართველოს უფრანდ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლო“, მ. კოსტავას, 14.



ოთარ ქორჭია



„უველაფერი, რაც ჩემში კარგია — კალათბურთთა მოყვარე...
უველაფერი, რაც კი მინახავს — კალათბურთთა მარჯენა...
უველაფერი, რაც გამაჩინა — ისევ და ისევ კალათბურთთა მოყვარე...
გაუმარჯოს კალათბურთს!“

ო. ქორჭია (10)